აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 62

15 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

პოლიტიკური გაერთიანების წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 63-ე მუხლის მე-13 პუნქტის, 64-ე მუხლის მე-3, მე-4 პუნქტების, 73-ე მუხლის მე-3, მე-6 პუნქტებისა და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიაში პოლიტიკური გაერთიანება ,,გიორგი თარგამაძე - ქრისტიან დემოკრატების" წარმომადგენელს გიორგი აბაშიძეს შეუწყდეს წარმომადგენლის უფლებამოსილება.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისა და 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის პოლიტიკური გაერთიანება ,,გიორგი თარგამაძე - ქრისტიან დემოკრატების" წარმომადგენლად №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციაში გატარდეს თეიმურაზ ფუტკარაძე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია